



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020 წწ.

მოდიფიცირებულია 2018 წლის ივლისში

შინაარსი

შესავალი -----	3
კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის 2014-2020 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა -----	5
კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	9
კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	13
კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	18
კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	22
კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	27
კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	31
კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	35
კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა -----	39

შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კავკასიის უნივერსიტეტის დებულების და შინაგანაწესის საფუძველზე.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტის დევიზია „Studium Pretium Libertates” - „ცოდნა თავისუფლების საწინდარია”.

უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამების შესაბამისად, კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხებს.

2014 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულ იქნა უნივერსიტეტის სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის კვოტა - 4000 სტუდენტით.

2018 წლის 22 იანვარი-20 მარტის პერიოდში, უნივერსიტეტში განხორციელებული საჭიროებათა შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა კონტინგენტის მომატების საჭიროება დამატებით 1000 ადგილით.

უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, კომპანიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედია ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანწილად გააფართოვა საერთაშორისო თანამშრომლობის პარტნიორი უნივერსიტეტების წრე.

უნივერსიტეტში წარმოდგენილია ცხრა სკოლა: კავკასიის ბიზნესის სკოლა, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის მედიის სკოლა, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა და კავკასიის ეკონომიკის სკოლა.

კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია 48 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ოთხი სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად, ასევე პერიოდული თვითშეფასებების შედეგებზე დაყრდნობით, კავკასიის უნივერსიტეტი ახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებას, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. უნივერსიტეტი ამ მიზნის მისაღწევად ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ანახლებს სასწავლო მასალებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აძლიერებს ადამიანურ რესურსებს და ოპტიმალურად იყენებს მათ სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისათვის.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2014-2020 წლების გეგმა ასახავს თითოეული სკოლის მისიას, ღირებულებებს, დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, მათი განხორციელების მიზნით დასახულ ამოცანებს და ინდიკატორებს.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის 2014-2020 წლების განვითარების

სტრატეგიული გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მისია

კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაა ახალგაზრდა თაობის თანამედროვე თეორიული ცოდნით აღჭურვა, მათში პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების სიღრმისეული გაცნობიერების ხელშეწყობა.

ღირებულებები

კავკასიის ბიზნესის სკოლის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ნოვატორული სულისკვეთება - ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გადაცემაში ისე, რომ ვპასუხობდეთ ბიზნეს გარემოსა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

მრავალფეროვნება - ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიისა და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

აკადემიური თავისუფლება - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესის საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბიზნესის საზოგადოებასთან, იმისთვის რომ, შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა ბიზნესის მართვის სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიზნეს-სექტორის განვითარებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას.

**სტრატეგიული მიზანი 1 - ბიზნესის სფეროში განათლების სრულყოფილება და
ინოვაციურობა**

ჩვენი მიზანია ვიყოთ რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი ბიზნესის სკოლა. შევთავაზოთ სტუდენტებს სრულყოფილი, ინოვაციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უზრუნველვყოთ თანამედროვე და ინოვაციური აკადემიური პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისათვის	1) თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი მოდიფიცირებული კურსების პროცენტული რაოდენობა
	2) თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი ახალი კურსების რაოდენობა
	3) თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი ინოვაციური სასწავლო მეთოდების რაოდენობა
2) ხელი შევუწყოთ პროფესორ-მასწავლებლების განვითარებას	1) პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის რაოდენობა (სწავლება, კონსულტირება, კვლევა და სხვა)
	2) პროფესორ-მასწავლებლების შეფასების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე)
	3) პროფესორ-მასწავლებლების მიერ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების რაოდენობა
3) ხელი შევუწყოთ სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდას	1) თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობა
	2) თითოეული აკადემიური პროგრამის მიხედვით სტუდენტების GPA-ს საშუალო მაჩვენებელი
	3) სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე)
4) შევამციროთ დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი და კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ მიწოდებული კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების დონის სხვაობა.	1) თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი
	2) თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა შესაბამისი სპეციალობით დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი
	3) დამსაქმებლის კმაყოფილების დონე (დამსაქმებლის გამოკითხვის საფუძველზე)

სტრატეგიული მიზანი 2 - გავხდეთ მეტად კვლევაზე ორიენტირებული ბიზნესის სკოლა
ჩვენი მიზანია გავზარდოთ და გავაღრმავოთ ჩვენი კვლევითი პოტენციალი.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) ვაწარმოთ კვლევა, რომელიც რელევანტური იქნება რეგიონის მასშტაბით	1) საერთაშორისო გამომცემლობებში წარდგენილი კვლევითი ნაშრომების რაოდენობა
	2) საერთაშორისო გამომცემლობებში გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების რაოდენობა
	3) კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა
2) შევქმნათ რეგიონისთვის რელევანტური ქეისები	1) ყოველ წელს შემუშავებული ბიზნეს ქეისების რაოდენობა
	2) სასწავლო პროცესში გამოყენებული ახალი ბიზნეს ქეისების რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 3 - ინტერნაციონალიზაცია

ჩვენი მიზანია ბიზნესის სკოლის საერთაშორისო ასპექტის გაძლიერება და რეგიონის მასშტაბით საერთაშორისო განათლების შესაძლებლობების ფარგლების გაფართოება.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის	1) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამების აკრედიტაციის მიღება 2019-2020 წლებში
	2) თითოეულ აკადემიურ პროგრამაში ინგლისურენოვანი კურსების პროცენტული რაოდენობა
	3) ინგლისური ენის მცოდნე ადმინისტრაციული თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა
	4) სტუდენტებთან დაკავშირებული

	ინგლისურენოვანი საბუთების პროცენტული რაოდენობა
2) უზრუნველვყოთ სტუდენტთა კონტინგენტის მრავალფეროვნება	1) კავკასიის ბიზნესის სკოლის უცხოელი სტუდენტების რაოდენობა
	2) ქვეყნების რაოდენობა, რომლებიდანაც უცხოელი სტუდენტები ირიცხებიან კავკასიის ბიზნესის სკოლაში
	3) გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა
	4) ქვეყნების რაოდენობა, რომლებიდანაც უცხოელი სტუდენტები ჩამოდიან გაცვლითი პროგრამებით კავკასიის ბიზნესის სკოლაში
	5) საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობა
3) უზრუნველვყოთ პროფესორ-მასწავლებლების კონტინგენტის მრავალფეროვნება	1) კავკასიის ბიზნესის სკოლის უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
	2) გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
	3) საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამებით წასული პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
4) მოვიპოვოთ საერთაშორისო აღიარება	1) კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ AACSB-ს აკრედიტაციის მოპოვება
	2) საერთაშორისო პარტნიორი ბიზნესის სკოლების რაოდენობა
	3) საერთო ან ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა
	4) საერთო მკვლევრების რაოდენობა

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის 2014-2020 წლების განვითარების

სტრატეგიული გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მისიაა დროის გამოწვევების შესაბამისი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით ღრმა სამართლებრივი ცოდნის მქონე, სავსე პირობებზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარების მქონე, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სამართალმცოდნეების ახალი თაობის აღზრდა და იურისპრუდენციის სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო დაკვეთის მაქსიმალური დაკმაყოფილება.

სკოლის სლოგანია: *"Dura Lex, Sed Lex"* - „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია“.

ღირებულებები

1. მაღალი მორალი და პროფესიონალიზმი

- ბაკალავრის მომზადება სათანადო კვალიფიკაციის, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც აღჭურვილი იქნება სამართლის სფეროს თეორიული, ნორმატიული და პრაქტიკული ცოდნით.
- მაგისტრის მომზადება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, პიროვნული თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების, სოციალური ღირებულებების, სამართლიანობის პრინციპები და ისწრაფვის მათი პრაქტიკული რეალიზაციისაკენ როგორც პროფესიულ, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.
- დოქტორის მომზადება, რომელსაც ექნება სამართლის მიმართულებით ეროვნული სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების სპეციფიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და პროდუქტიული კვლევის კომპეტენცია.

2. კავკასიის სამართლის სკოლის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

- *აკადემიური თავისუფლება* - ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გადაცემაში;
- ახალი თაობის მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას თეორიული და პრაქტიკული, მტკიცებითი ან ემპირიული კვლევების მეშვეობით;

- ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე იმისთვის, რომ შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა სამართლის მიმართულებით;
- ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას.

3. ინოვაციური სულისკვეთება - ჩვენ გვსურს მუდმივად შევთავაზოთ საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული, ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოდიფიკაცია გავუკეთოთ არსებულს.

სტრატეგიული მიზანი 1. სამართლის სფეროში განათლების სრულყოფილება და ინოვაციურობა

ჩვენი მიზანია შევთავაზოთ სტუდენტებს სრულყოფილი, ინოვაციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უზრუნველვყოთ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	თითოეული აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული კურსების პროცენტული რაოდენობა
	თითოეული აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული ახალი კურსების რაოდენობა
	თითოეული აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული ინოვაციური სასწავლო მეთოდების რაოდენობა
	სამაგისტრო პროგრამის „ბიზნეს ადმინისტრირება სამართალი“ შეთავაზება 2020 წელს
2) ხელი შევუწყოთ პროფესორ-მასწავლებლების განვითარებას	პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის რაოდენობა (სწავლება, კონსულტირება, კვლევა და სხვა)
	პროფესორ-მასწავლებლების შეფასების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე)
	პროფესორ-მასწავლებლების მიერ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მაჩვენებელი
3) ხელი შევუწყოთ სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდას	თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი
	თითოეული აკადემიური პროგრამის მიხედვით სტუდენტების GPA-ს საშუალო მაჩვენებელი

	სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე)
4) შევამცირეთ დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი და კავკასიის სამართლის სკოლის მიერ მიწოდებული კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების დონის სხვაობა.	თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი
	თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა შესაბამისი სპეციალობით დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი
	დამსაქმებლის კმაყოფილების დონე (დამსაქმებლის გამოკითხვის საფუძველზე)

სტრატეგიული მიზანი 2 - გავხდეთ მეტად კვლევაზე ორიენტირებული სამართლის სკოლა
ჩვენი მიზანია გავზარდოთ და გავაღრმავოთ ჩვენი კვლევითი პოტენციალი.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) ვაწარმოთ კვლევა, რომელიც რელევანტური იქნება რეგიონის მასშტაბით	საერთაშორისო გამომცემლობებში წარდგენილი კვლევითი ნაშრომების რაოდენობა
	საერთაშორისო გამომცემლობებში გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების რაოდენობა
	კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 3 - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და მხარდაჭერა

ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევინარჩუნოთ ეროვნული სისტემების მრავალფეროვნება და ამავე დროს უზრუნველვყოთ მათი თავსებადობა იმ გაგებით, რომ შესაძლებელი გახდეს მობილობა და გაცვლები პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ქვეყნის გარეთ.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სტუდენტთათვის	თითოეულ აკადემიურ პროგრამაში ინგლისურენოვანი კურსების პროცენტული რაოდენობა
	ინგლისური ენის მცოდნე ადმინისტრაციული თანამშრომლების პროცენტული მაჩვენებელი
2) უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი შესაძლებლობების მარკეტინგი საერთაშორისო დონეზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოზიდვის მიზნით	კავკასიის სამართლის სკოლის უცხოელი სტუდენტების რაოდენობა
	გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული

	სტუდენტების რაოდენობა
	საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობა
3) უცხოელი ლექტორებისა და მკვლევრების ჩართვა როგორც სწავლებაში, ასევე მიმდინარე/დაგეგმილ კვლევებში.	კავკასიის სამართლის სკოლის უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
	გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
	საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამებით წასული პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა
	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სემინარებისა და სიმპოზიუმების ორგანიზება.
4) საერთაშორისო პარტნიორობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა	საერთაშორისო პარტნიორი სამართლის სკოლების რაოდენობა
	საერთო ან ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა
	საერთო მკვლევრების რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 4 - პლაგიატის აღმოფხვრა

ჩვენი მიზანია სკოლაში უზრუნველყოფილი იქნას ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, სხვათა ნაშრომის პატივისცემა

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1) პლაგიატის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა	აკადემიური ეთიკის კოდექსის ეფექტიანობის გაზრდა
	პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული საეთაშორისო გამოცდილების გაზიარება

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის მისია მედიისა და კომუნიკაციების სფეროების ისეთი სპეციალისტების მომზადებაა, რომლებსაც ექნებათ კარგი განათლება, ღრმა თეორიული ცოდნა, მაღალი დონის პრაქტიკული პროფესიული უნარები და შეეძლებათ გლობალურ დონეზე იყვნენ სფეროს კონკურენტუნარიანი ლიდერები, საკუთარ ქვეყანაში კი საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების განვითარების ავანგარდში.

ძირითადი ღირებულებები

კავკასიის მედიის სკოლის ღირებულებებია:

- ღია საზოგადოება;
- გამჭვირვალობა;
- დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა;
- ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა;

ამ ღირებულებების დასამკვიდრებლად მედიის სკოლის ამოცანაა მაღალპროფესიონალური, მორალური თვისებების მქონე ჟურნალისტებისა და კომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლების ჩამოყალიბება, რომელთაც ერთობლიობაში აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა - პროფესიული ანგარიშვალდებულების საკითხი საზოგადოების წინაშე - იყვნენ მორალური პრინციპების ერთგულები, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების პასუხისმგებლიანი წევრები, კეთილსინდისიერი მოქალაქეები.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის კურსდამთავრებული სრულად აანალიზებს მედიის/კომუნიკაციების სფეროს ფუნქციას დემოკრატიულ, ღია და გამჭვირვალე საზოგადოებაში; გაცნობიერებული აქვს არა მხოლოდ ის, თუ რა გავლენა აქვს მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს მოქალაქეების აზრის ფორმირებაში, არამედ ისიც, თუ რა როლი აქვს მისი, როგორც პროფესიონალის კეთილსინდისიერებას პროცესში, რომ საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით, წვლილი შეიტანოს თანამედროვე, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დანერგვაში, ქვეყნის განვითარებაში.

მიზნები

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლას აქვს სტრატეგიული მიზნები, რაც უკავშირდება მედიისა და კომუნიკაციების სფეროების საერთაშორისო დონის სპეციალისტების მომზადებასა და მედიის სკოლის ჩამოყალიბებას სფეროს ლიდერად, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში.

სტრატეგიული მიზანი 1. მედიისა და კომუნიკაციების სფეროების თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი პროფესიონალების მომზადება; მათთვის პროფესიულ გარემოში ინტეგრირებისა და დასაქმების შესაძლებლობის მიცემა.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
<p>1) აკადემიური პროგრამების მომზადება და განვითარება თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად.</p>	<p>პროგრამული აკრედიტაციების მიღება/განახლება.</p>
	<p>მედიის სკოლის პროგრამების სტრუქტურის სისტემატური მონიტორინგი მათი დროული მოდიფიცირებისთვის, ძველი კურსების განვითარებისა და ახალი კურსების დანერგვის მონიტორინგი.</p>
	<p>სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მისი ზრდის შეფასება, რაც შესაძლებელია თითოეული აკადემიური პროგრამის მიხედვით სტუდენტების GPA-ს საშუალო მაჩვენებლის დადგენით.</p>
	<p>სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა/განვითარება: პროგრამების სილაბუსების სემესტრული განვითარების მონიტორინგი.</p>
<p>2) თანამედროვე სტანდარტის აკადემიური პერსონალისა და სფეროს პროფესიონალების მოზიდვა, მათთვის ხარისხიანი სწავლებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.</p>	<p>ახალი კადრების მოძიების მიზნით, აკადემიური პერსონალისა და მედიის/კომუნიკაციების სფეროების პრაქტიკოსი ლექტორების ბაზრის მუდმივი მონიტორინგი.</p>
	<p>უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვის მონიტორინგი.</p>
	<p>აკადემიური პერსონალის შეფასების ხარისხი (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე).</p>
	<p>არსებული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მათი მხრიდან აკადემიურ და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მონიტორინგი.</p>
<p>3) პროგრამებში გათვალისწინებული, თეორიულ ნაწილზე დაფუძნებული პრაქტიკული კომპონენტის განვითარება.</p>	<p>პროგრამებში არსებული პრაქტიკული კომპონენტების შედეგების მონიტორინგი.</p>
	<p>კავკასიის მედიის სკოლის სტუდიის განვითარება-აღჭურვის, ასევე, ამ</p>

	<p>მიმართულებით დონორებთან კომუნიკაციის მონიტორინგი.</p>
	<p>სტუდენტური მედიის განვითარების მონიტორინგი: ონლაინ-რადიოს კონტენტის სემესტრული შეფასება, სხვადასხვა მედიასაშუალებასა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სტუდენტური პროდუქტის მონიტორინგი.</p>
	<p>სტუდენტური სამაგისტრო პროექტების ხარისხის კონტროლი: მათი ხელმძღვანელების, რეცენზენტებისა და კომისიების მუშაობის შედეგების ანალიზის, ასევე, მაგისტრანტებისგან მიღებული უკუკავშირის გზით.</p>
<p>4) პარტნიორთა წრის გაფართოება, მათი ჩართვა სტრატეგიული განვითარების ახალი ეტაპების დაგეგმვის პროცესში, მედიის სკოლის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმება.</p>	<p>პარტნიორებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობისა და მათი მუშაობის მონიტორინგი.</p>
	<p>თითოეული აკადემიური პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირების პროგრამების ჩართვის მონიტორინგი.</p>
	<p>თითოეული აკადემიური პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მონიტორინგი.</p>
	<p>უკუკავშირი პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან (გამოკითხვის საფუძველზე).</p>

სტრატეგიული მიზანი 2 - კვლევების მიმართულების განვითარება

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
<p>1) მედიის სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი ორგანოს დაფუძნება/განვითარება აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.</p>	<p>კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ზრდა, გამოცხადებული კონკურსების მონიტორინგი.</p>
	<p>მედიის სკოლის აკადემიური პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეებში გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების მონიტორინგი.</p>
	<p>მედიის სკოლის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციებისა და აკადემიური პერსონალის ამ და სხვა კონფერენციებში მონაწილეობის მონიტორინგი.</p>
	<p>ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობისა და შედეგების მონიტორინგი.</p>
<p>2) დაინტერესებული სტუდენტების მომზადება კვლევითი საქმიანობისთვის.</p>	<p>მედიის სკოლის პროგრამებში არსებული კვლევითი კომპონენტის შედეგების მონიტორინგი.</p>
	<p>სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის კონტროლი: მათი ხელმძღვანელების, რეცენზენტებისა და კომისიების მუშაობის შედეგების ანალიზის, ასევე, მაგისტრანტებისგან მიღებული უკუკავშირის გზით.</p>
	<p>სასკოლო, საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობისა და შედეგების მონიტორინგი.</p>

სტრატეგიული მიზანი 3 - კავკასიის მედიის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და მისი ინტერნაციონალიზაცია.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
<p>1) მედიის სკოლის საერთაშორისო</p>	<p>ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები</p>

პარტნიორთა წრის გაფართოება.	თანამშრომლობის შესახებ. აქ იგულისხმება, როგორც უცხოური უნივერსიტეტები, ასევე, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
	არსებულ საერთაშორისო პარტნიორთა წრესთან ურთიერთობების მონიტორინგი: სტუდენტური გაცვლების, აკადემიური პერსონალის მობილობების რაოდენობა.
	ევროპის საერთაშორისო პროექტებში (მაგ: ერაზმუს+) მედიის სკოლის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის მონიტორინგი.
	მედიის სკოლის პროგრამული და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი.
2) კავკასიის მედიის სკოლის პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტუდენტებისთვის.	ორენოვანი და ორმაგი ხარისხის პროგრამების რაოდენობა.
	კავკასიის მედიის სკოლის ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, სხვადასხვა პროგრამით ჩამოსული უცხოელი ლექტორებიც).
	გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.
3) კავკასიის მედიის სკოლისთვის აღიარების მოპოვება საქართველოს ფარგლებს გარეთ.	საერთაშორისო პარტნიორი მედიის სკოლების რაოდენობა.
	საერთაშორისო პარტნიორი დონორი ორგანიზაციების, ასევე, მედიისა და კომუნიკაციების სფეროში საერთაშორისო სივრცეში აღიარებული, მაღალი რეპუტაციის მქონე პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა.

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის მისიაა სტუდენტთა მომზადება დარგის უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით, მაღალი დონის სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომელთაც ექნებათ სფეროს თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; კონკურენტუნარიანი სასწავლო გარემოს შექმნა, დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სასწავლო მეთოდოლოგიების დანერგვა, დარგის შესაბამისი პროგრამების განვითარება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

ძირითადი ღირებულებები

ტექნოლოგიების, ინჟინერიის, არქიტექტურის სფეროს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან ინტეგრაცია - სკოლა მზად არის ითანამშრომლოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინჟინერიის, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არქიტექტურის სფეროს წარმომადგენლებთან, რათა შექმნას და გაავრცელოს რელევანტური ცოდნა შესაბამისი დარგების განვითარებისა და მართვის მიმართულებით.

ინოვაციური სულისკვეთება - სკოლა მოტივირებულია მუდმივად შესთავაზოს საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოახდინოს არსებული განვითარება.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - სკოლა მიმართულია ისეთი ცოდნა მისცეს საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყნის საინჟინრო, არქიტექტურის, საინფორმაციო საკომუნიკაციო სექტორი და გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1. საინჟინრო-ტექნოლოგიების სფეროში განათლების სრულყოფა და ინოვაციურობა

ჩვენი მიზანია შევთავაზოთ სტუდენტებს სრულყოფილი, ინოვაციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
<p>1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უზრუნველვყოთ თანამედროვე და ინოვაციური აკადემიური პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი მოდიფიცირებული კურსების პროცენტული რაოდენობა • თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი ახალი კურსების რაოდენობა • თითოეულ აკადემიურ პროგრამაში დანერგილი ინოვაციური სასწავლო მეთოდების რაოდენობა
<p>2. სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის რაოდენობა (სწავლება, კონსულტირება, კვლევა და სხვა) • პროფესორ-მასწავლებლების შეფასების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე) • პროფესორ-მასწავლებლების მიერ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 2 - ინტერნეციონალიზაცია

ჩვენი მიზანია ტექნოლოგიების სკოლის საერთაშორისო ასპექტის გაძლიერება, საქართველოში საინჟინრო, არქიტექტურის და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების მაღალი დონის სტანდარტის შექმნა მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
<p>1. აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.</p>	<p>სემესტრში ერთხელ კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი მივლინებულ უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.</p>
<p>2. საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობა კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.</p>	<p>სემესტრში ერთხელ კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.</p>
<p>3. საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ყოველ სასწავლო წელს კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის 2-4 სტუდენტის მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. • ყოველ სასწავლო წელს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან 1-3 სტუდენტის მიღება კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.
<p>4. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმატიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2019 წლისთვის; • არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2020 წლისათვის; • ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2020 წლისათვის; • ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2020 წლისათვის.

სტრატეგიული მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერ მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

სტრატეგიული ამოცანები	სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები
1. სტუდენტების აკადემიური მოსწრების ზრდა	<ul style="list-style-type: none"> • თითოეული აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობა • სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების დონე (სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე)
2. კონკურენტუნარიანი, მაღალი კვალიფიკაციის კურსდამთავრებულების დასაქმების ბაზრისთვის მიწოდება	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (85%-ზე მეტი).
3. საინჟინრო, არქიტექტურისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორისთვის აქტუალური და საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება	<ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2016-2017 სასწავლო წლისათვის; • ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2017 -2018 სასწავლო წლისათვის; • საინჟინრო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის შეთავაზება 2019-2020 სასწავლო წლისათვის.

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის 2014-2020 წლების განვითარების

სტრატეგიული გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის მისიაა მოამზადოს ევროპული ღირებულებებისა და უნივერსალური დემოკრატიული ფასეულობების მქონე, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით აღჭურვილი, გლობალურ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ დისციპლინის შესაბამისი თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ღირებულებები

